

შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება

ფასტ ენდ შაინ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი
2022

შპს ფასტ ენდ შაინ

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	2021	2020
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	146 418	72 597
არამატერიალური აქტივები	629 557	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	775 975	72 597
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	142 978	2 380
სავაჭრო მოთხოვნები	30 209	1 607
გადახდილი ავანსები	14 635	77 728
სხვა მარაგები	61 275	19 930
სხვა მიმდინარე აქტივები	-	180 042
სულ მიმდინარე აქტივები	249 097	281 687
მთლიანი აქტივები	1 025 072	354 284
მთლიანი კაპიტალი		
კაპიტალი	1 163 387	436 147
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(277 431)	(97 992)
გადაფასების რეზერვი	-	-
სულ კაპიტალი	885 956	338 155
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი მიღებული სესხი	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულება	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	34 672	13 809
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	-	832
მიღებული ავანსები	-	-
მიღებული სესხები	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	104 265	1 488
გადასახდელი პროცენტი	-	-
სხვა ვალდებულებები	179	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	139 116	16 129
მთლიანი ვალდებულებები	139 116	16 129
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	1 025 072	354 284

დირექტორი

მიხეილ ზეგლარიშვილი

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		2021	2020
ამონაგები	5	648 477	151 543
თვითღირებულება		(503 567)	(151 809)
საერთო მოგება		144 910	(266)
სხვა შემოსავლები		0	0
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	6	(303 920)	(96 370)
მიწოდების დანახარჯები		-	-
კურსთაშორის სხაობიდან მიღებული მოგება/ზარალი		(8 730)	(1 652)
სხვა ხარჯები		0	0
საოპერაციო მოგება		(167 740)	(98 288)
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(6 140)	753
მოგება დაბეგვრამდე		(173 880)	(97 535)
მოგების გადასახადი		(5 559)	(457)
წმინდა მოგება		(179 439)	(97 992)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(179 439)	(97 992)

დირექტორი

მიხეილ ბეგლარიშვილი

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მოლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	0	0	0
წმინდა მოგება	-	(97 992)	(97 992)
გაცემული დივიდენდი	-	-	0
საწესდებო კაპიტალის ზრდა	436 147	-	436 147
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	0
2020 წლის 31 დეკემბერი	436 147	(97 992)	338 155
წმინდა მოგება	-	(179 439)	(179 439)
გაცემული დივიდენდი	-	-	0
საწესდებო კაპიტალის ზრდა	727 240	-	727 240
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	0
2021 წლის 31 დეკემბერი	1 163 387	(277 431)	885 956

დირექტორი

მიხეილ ზეგლარიშვილი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

ჯგუფი, შპს ფასტ ენდ შაინი (საიდენტიფიკაციო ნომერი 405393970) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. #49ა, ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. #49ა. საწარმოს დამფუძნებელია ფიზიკური პირი ირაკლი ბაღოშვილი (პ.ნ. 61001017988), ფიზიკური პირი დავით თოფურია (პ.ნ. 01001063096), ფიზიკური პირი იოსებ მგელაძე (პ.ნ. 01017002665), ფიზიკური პირი ანზორ მგელაძე (პ.ნ. 01017008553). საკუთრებაში მყოფ შვილობილ კომპანიას წარმოადგენს, შპს ფასტ ენდ შაინ ვაკე (საიდენტიფიკაციო ნომერი 405444452)

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი (კოდი-45200).

ფინანსური ანგარიშგება არის ჯგუფის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2021 წლის 16 თებერვლით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის *მსს ფასს-ის* შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

3.3 სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.5 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი არ კაპიტალიზდება და არ ზრდის აქტივის ღირებულებას.

3.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია შემცირებადი ნაშთის მეთოდით 15 % წლიური განაკვეთით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.8 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გა- დაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯა- რის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფი- ნანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალ- დებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარ- ჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქ- მნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად სა- შუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებ- ული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.9 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

3.10 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

3.11 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა

3.12 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგერის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

შენიშვნა 5

ამონაგები

შემოსავალი მომსახურებიდან

2021

648 477

2020

151 543

სხვა საოპერაციო შემოსავლები

-

-

სულ

648 477

151 543

კომპანიის ამონაგებს საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენს, ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი (ქიმწმენდა, პოლირება, რესტავრაცია)

შენიშვნა 6

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

2021

2020

ხელფასი

118 872

25 204

საპენსიო დანარიცხები

2 403

479

საიჯარო ქირა

84 180

42 753

ბანკის მომსახურების ხარჯი

6 126

1 831

სწავლის და ტრენინგის ხარჯი

895

კომუნიკაციის ხარჯები

2 417

350

დაცვის ხარჯი

901

კომუნალური ხარჯი

10 796

119

დაზღვევა

4 099

კომპიუტერის ხარჯები

268

19

ცვეთა და ამორტიზაცია

39 741

2 851

იურდიული და სარეგისტრაციო ხარჯი

560

110

სხვა საგადასახადო ხარჯი (ქონების გადასახადი)

1 032

181

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ხარჯი

7 181

2 740

საოფისე ხარჯი

1 313

3 533

საკონსულტაციო ხარჯი

18 348

8 075

სამივლინებო ხარჯი

3 060

წარმომადგენლობითი ხარჯი

1 242

სხვა საერთო ხარჯი

1 382

7 232

სულ

303 920

96 370

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი: მიხეილ ბეგლარიშვილი

თარიღი: 30.09.2022